მარი ოგიუსტ ედგარ ბულანჟიე

მოგზაურობა მერვში. ცენტრალური აზიის რუსები და ტრანსკასპიური რკინიგზა.

1886 წლის აგვისტოში საქართველოში ჩამოვიდა გზებისა და ხიდების ფრანგი ინჟინერი მარი ოგიუსტ ედგარ ბულანჟიე (1850-1899), რომელსაც იმიერკასპიის ოლქში[1] სურდა გამგზავრება. ედმონ ბულანჟიეს ცნობები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ზაფხულში თბილისიდან გადიოდა ყველა, ვისაც კი ამის საშუალება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მის თხზულებაში არის ერთი ცნობა თბილისის მოსახლეობის შესახებ.

Edgar Boulangier. Voyage à Merv.
Les Russes dans l'Asie centrale et le chemin de fer transcaspien. Paris, Librairie Hachette et Cie, 1888

Au cours de ces réflexions, d'autant plus excusables que l'étude des irrigations du Caucase est l'un des buts de mon voyage, nous arrivons à Tiflis, vers dix heures et demie du soir. Vue du chemin de fer qui la contourne par la rive gauche de la Koura et la domine d'une trentaine de mètres, cette grande ville (110 000 habitants), démesurément allongée dans l'étroite vallée et bâtie en amphithéâtre sur l'abrupt versant de la rive droite, présente de nuit, aux lumières, un aspect féerique. De jour, c'est encore bien autre chose. Sans parler des quartiers neufs, qui méritent tous les éloges, et des jardins publics si charmants après le coucher du soleil, la vieille cité géorgienne, peuplée en grande partie d'Arméniens - commerçants devant lesquels Grecs et Juifs prennent la fuite, renferme assez de curiosités pour retenir pendant plusieurs semaines un amateur des meurs et des arts orientaux. Aussi bien mon intention n'est-elle pas de vous y promener, même une minute, dans cette relation consacrée surtout à la Transcaspienne. Permettez-moi de vous renvoyer aux publications spéciales, aussi complètes qu'intéressantes, de Mme Carla Serena, de M. Vereschaguine, etc. (44)

აი ამაზე ვფიქრობდი, – რაც მით უფრო საპატიებელია, რადგან ჩემი მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი კავკასიის ირიგაციის შესწავლაა, – როდესაც დაახლოებით საღამოს ათის ნახევარზე თბილისში ჩავედით. რკინიგზა მარცხენა მხრიდან უვლის მტკვარს და მასზე დაახლოებით 30 მ-ით მაღლა მდებარეობს. იქიდან, ღამით, განათების შუქზე დანახული ვიწრო ხეობაში არაპროპორციულად წაგრძელებული და მდინარის მარჯვენა ნაპირის ციცაბო ფერდობზე ამფითეატრივით გაშენებული ეს დიდი ქალაქი (110,000 მოსახლე – Ed. B.) ჯადოსნურ სანახაობას წარმოგვიდგენს. დღისით სულ სხვაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქების ღირს ახალ უბნებსა და მზის ჩასვლის შემდეგ ასე მომხიბვლელ ბაღებზე, ძველ ქართულ ქალაქზე, სადაც ძირითადად სომხები – ვაჭრები ცხოვრობენ, რომლების გამო ბერძნები და ებრაელები გარბიან; თბილისში საკმარისად არის საინტერესო სანახავი, რათა აღმოსავლური წეს-ჩვეულებებისა და ხელოვნების მოყვარულები იქ რამდენიმე კვირის განმავლობაში დარჩნენ. მაგრამ ამ რელაციაში, რომელიც უპირველეს ყოვლისა იმიერკასპიის ოლქს ეძღვნება,

[1] იმიერკასპიის ოლქი (Transcaspien) – რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ერთეული 1854-1919 წლებში, ადმინისტრაციული ცენტრით აშხაბადში, რომელიც სამხრეთით ესაზღვრებოდა ხორასანსა და ავღანეთს, ჩრდილოეთით – ურალის პროვინციას, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ხივასა და ბუხარას. 1897 წლიდან თურქესტანის გენერალ-გუბერნატორი მართავდა.

მე ერთი წუთითაც არ ვაპირებ თქვენს გასეირნებას. ნება მიბოძეთ გირჩიოთ ქალბატონი კარლა სერენას[2], ბატონი ვერეშჩაგინისა[3] და სხვათა საგანგებო და საინტერესო პუბლიკაციები.

(თარგმნა ირინე ნაჭყებიამ)

[2] კარლა სერენა (კაროლინ ჰარტოგ მორგენშტაინი – 1820-1884) — ბელგიელი მოგზაური და მწერალი. 1874 წლიდან ექვსი წლის განმავლობაში მოიარა შვედეთი (1874), ოსმალეთის იმპერია (1874-1875), რუსეთის იმპერია (1874, 1875-1877, 1878-1879, 1881) და ირანი (1877-1878); 1876-1877 და 1881 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. სერენამ მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები და გეოგრაფიული დაკვირვებები უხვად ილუსტრირებულ სტატიებსა და წიგნებში გადმოსცა.

[3] ვასილი ვასილის ძე ვერეშჩაგინი (1842-1904) – რუსი მხატვარი, მწერალი და მოგზაური.